საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-18/331
30/05/2019

331-შ-19-1-4-201905301907

შპს „სტერეო+ის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე

I. საქმის აღწერა

კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის 2019 წლის 15 აპრილის N 19-10-632 მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ დეპარტამენტის მონიტორინგის მობილური ჯგუფების მიერ 28.03.2019 - 12.04.2019 პერიოდში ჩატარებული იქნა მონიტორინგი შპს „სტერეო+ის“ და შპს „დი+-ისთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელებით ოპერირებისთვის, კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 და და 2017 წლის 17 აგვისტოს №545/5 გადაწყვეტილების საფუძველზე, გაცემული NMUX-B, NMUX-E და NMUX-D ლიცენზიების პირობებით გათვალისწინებული ტექნიკური მახასიათებლების შემოწმების მიზნით. რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტი განმარტავს, რომ შპს „სტერეო+-ს“ და შპს „დი+-ს“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელებით ოპერირებისთვის მინიჭებული აქვთ სიხშირული რესურსი 62 პუნქტში (მათგან 8 საიტი ოკუპირებულ ტერიტრიებზეა). მონიტორინგის პროცესში 55 ადგილას იქნა შემოწმებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო გადამცემების განლაგების გეოგრაფიული კოორდინატები და მათი პრაქტიკული ფუნქციონირების გარემოებები. მობილური ჯგუფების მიერ პრაქტიკული შესაძლებლობების ფარგლებში შემოწმებული იქნა გადამცემი სადგურების და საანტენო მეურნეობის მახასიათებლები უშუალოდ მათი განლაგების ადგილზე, ხოლო ის საიტები (ცივის მთა, გუდაური, ტყიბული, მრავალძალი, პატარა ონი, ლენტეხი, მესტია, ბორჯომი, ბაკურიანი, შუახევი, ხულო და ტალახას მთა), სადაც უგზოობის და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების გამო ვერ მოხერხდა ადგილზე მისვლა, შემოწმებული იქნა დისტანციურად - რადიომონიტორინგის და საპელენგაციო მეთოდების გამოყენების მეშვეობით განხორციელდა მათი განლაგების ადგილის იდენტიფიკაცია. თითეული შემოწმებისას, მობილური ჯგუფების მიერ შედგენილი იქნა შესაბამისი შემოწმების აქტები, თითოეულ საიტზე შედგა ორი აქტი (ერთი აქტი ასახავდა შპს „სტერეო+-ის“, ხოლო მეორე შპს „დი+-ის“ მულტიპლექს პლატფორმების მდგომარეობას) სულ შედგენილია 110 აქტი, მათი განხილვის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ არსებობს არაერთი შეუსაბამობა ლიცენზიის პირობებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებსა და პრაქტიკულად დაფიქსირებულ მონაცემებს შორის, კერძოდ:

1. ლენტეხი, შპს „დი+ის“ მუქსის გადამცემის ფუნქციონირება არ დაფიქსირებულა;

2. ურთას მთაზე ფუნქციონირებს სამივე მუქსის გადამცემი (გადაწყვეტილებებით არ არის განსაზღვრული);
3. ფოთის ანძა - დემოტნირებულია სამივე მუქსის გადამცემი;
4. სოფ. სადმელი ფუნქციონირებს სამივე მუქსის გადამცემი (გადაწყვეტილებებით არ არის განსაზღვრული);
5. სოფ. კვაცხუთი ფუნქციონირებს სამივე მუქსის გადამცემი (გადაწყვეტილებებით არ არის განსაზღვრული);
6. ამბროლაურის ანძა - დემოტნირებულია სამივე მუქსის გადამცემი;
7. მრავალძალი ფუნქციონირებს სამივე მუქსის გადამცემი (გადაწყვეტილებებით არ არის განსაზღვრული);
8. ონის ანძა - დემოტნირებულია სამივე მუქსის გადამცემი;
9. ყვარელის ანძა - სამივე მუქსის გადამცემები გადატანილია 370 მეტრით;
10. ლაგოდეხის ანძა - დემოტნირებულია სამივე მუქსის გადამცემი;
11. სიღნაღის ანძა - სამივე მუქსის გადამცემები გადატანილია 615 მეტრით;
12. სოფ. არბოშიკის ანძა - სამივე მუქსის გადამცემები გადატანილია 1050 მეტრით;
13. ჩოხატაურის ანძა - დემოტნირებულია სამივე მუქსის გადამცემი;
14. ტალახას მთა - ფუნქციონირებს სამივე მუქსის გადამცემი (გადაწყვეტილებებით არ არის განსაზღვრული);
15. ზუგდიდის ანძა - შპს „დი+ის“ გადამცემი არ არის განთავსებული;
16. მარნეულის ანძა - დემოტნირებულია სამივე მუქსის გადამცემი;
17. ბოლნისის ანძა - სამივე მუქსის გადამცემები გადატანილია 380 მეტრით;
18. წალკის ანძა - შპს „დი+ის“ მუქსის გადამცემის ფუნქციონირება არ დაფიქსირებულა;
19. ნინოწმინდა - შპს „დი+ის“ მუქსის გადამცემის ფუნქციონირება არ დაფიქსირებულა;
20. ახალქალაქი - შპს „დი+ის“ მუქსის გადამცემის ფუნქციონირება არ დაფიქსირებულა;
21. ასპინძა - NMUX-E ფუნქციონირებს MUX-D-ს არხზე (41-ე არხი) და NMUX-D ფუნქციონირებს NMUX-E-ს არხზე (32-ე არხი);
22. აბასთუმანი - NMUX-E ფუნქციონირებს MUX-D-ს არხზე (41-ე არხი) და NMUX-D ფუნქციონირებს NMUX-E-ს არხზე (32-ე არხი);
23. ახალციხე - NMUX-E ფუნქციონირებს NMUX-D-ს არხზე (41-ე არხი) და NMUX-D ფუნქციონირებს NMUX-E-ს არხზე (32-ე არხი).

„შპს „სტერეო+-სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებით (მათ შორის, №MUX B და №MUX E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილება) განსაზღვრული სალიცენზიო ვალდებულებების შპს „სტერეო+-ის“ მიერ შესრულების საკითხის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 23 მაისს, 15:00 საათზე, რის თაობაზეც კომპანიას ეცნობა 2019 წლის 20 მაისის Nგ-19-03/1425 წერილობითი შეტყობინებით და მოწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. მას ასევე განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლება. აღნიშნული შეტყობინება შპს „სტერეო+ს“ ჩაბარდა 2019 წლის 20 მაისს.

კომისიის სხდომა „შპს „სტერეო+ისთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული სალიცენზიო ვალდებულებების შპს „სტერეო+-

ის“ მიერ შესრულების საკითხის განხილვის თაობაზე გაიმართა 2019 წლის 23 მაისს. სხდომას ესწრებოდნენ: შპს „სტერეო+ს“ დამფუძნებელი დავით ზილფიმიანი, ასევე იურისტები ნატალია გელაძე და გიორგი ხითარიშვილი. სხდომაზე დავით ზილფიმიანმა განაცხადა, რომ კომისიისთვის ცნობილი იყო შპს „სტერეო+ის“ ქმედებების შესახებ. აღნიშნული განცხადების გათვალისწინებით, დამატებითი გარემოებების შესწავლის მიზნით, კომისიის სხდომა გადაიდო და ჩატარდა 2019 წლის 30 მაისს. სხდომაზე გამოცხადდნენ შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლები: დამფუძნებელი დავით ზილფიმიანი, ასევე იურისტები ნატალია გელაძე და გიორგი ხითარიშვილი.

II. კომისიის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები

1. კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის 2019 წლის 15 აპრილის N19-10-632 მოხსენებითი ბარათი თანდართული შემოწმების აქტებით;
2. კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის 2019 წლის 17 მაისის N19-10-768 სამსახურებრივი ბარათი, თანდართული შემოწმების აქტებით;
3. შპს „სტერეო+-სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილება;
4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს N464/19 გადაწყვეტილება;
5. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „სტერეო+-ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-B, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე კომისიის 2015 წლის 19 ივნისის N362/2 გადაწყვეტილება;
6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „სტერეო+-ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-B, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე კომისიის 2015 წლის 1 ოქტომბრის N598/2 გადაწყვეტილება;
7. “შპს „სტერეო+-სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „სტერეო+-ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-B, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე კომისიის 2016 წლის 19 მაისის N306/2 გადაწყვეტილება;
8. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-D და №MUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე კომისიის 2017 წლის 4 აპრილის N220/2 გადაწყვეტილება;
9. შპს „სტერეო+-სა“ და შპს „დი+-ს“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-D ლიცენზიის გადაპირების თაობაზე კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს N545/5 გადაწყვეტილება;
10. „შპს „სტერეო+-სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების

გაცემის შესახებ“ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „სტერეო+-ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-B და №MUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილება;

11. კომისიის 2019 წლის 20 მაისის Nგ-19-03/1425 შეტყობინება შპს „სტერეო+-ს“;
12. შპს „სტერეო+ის“ 2016 წლის 19 თებერვლის Nშ-6/1604-16 წერილი კომისიას;
13. შპს „სტერეო+ის“ 2016 წლის 7 მარტის Nშ-6/2187-16 წერილი კომისიას;
14. შპს „სტერეო+ის“ 2016 წლის 24 მაისის Nშ-6/4841-16 წერილი კომისიას;
15. კომისიის 2016 წლის 15 ივნისის N06-2018-16 წერილი შპს „სტერეო+ს“;
16. შპს „სტერეო+ის“ 2016 წლის 11 აგვისტოს Nშ-6/8272-16;
17. შპს „სტერეო+ის“ 2017 წლის 10 ნოემბრის NS-7/8714-16 წერილი კომისიას;
18. შპს „სტერეო+ის“ 2018 წლის 13 თებერვლის N01/02-18 წერილი კომისიას;
19. კომისიის 2018 წლის 20 თებერვლის N06/579-18 წერილი შპს „სტერეო+ს“;
20. შპს „სტერეო+ის“ 2018 წლის 2 მარტის Nშ-6/1168-18 წერილი კომისიას;
21. კომისიის 2018 წლის 6 აპრილის N06/1209-18 წერილი შპს „სტერეო+ს“;
22. შპს „სტერეო+ის“ 2018 წლის 13 აგვისტოს NS-6/3910-18 წერილი კომისიას;
23. კომისიის 2018 წლის 2 ოქტომბრის N06/3302-18 წერილი შპს „სტერეო+ს“;
24. შპს „სტერეო+ის“ 2018 წლის 6 ოქტომბრის Nშ-6/5289-18 წერილი კომისიას;
25. კომისიის 2018 წლის 26 ოქტომბრის N06/3502-18 წერილი შპს „სტერეო+ს“;
26. შპს „სტერეო+ის“ 2018 წლის 5 დეკემბრის Nშ-6/6448-18 წერილი კომისიას;
27. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო პირთა რეესტრიდან შპს „სტერეო+ის“ შესახებ.

III. კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემებით, შპს ,,სტერეო+“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს (კომისიაში ავტორიზაციის თარიღი: 15.02.2010); ავტორიზებული საქმიანობის სახეები: A.F.2 **ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**; რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.F.5 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა**, რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.F.7 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა;** მონაცემთა დამუშავების ინტერნეტ ცენტრის შესაბამისი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.T.1 ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელითა და საშუალებებით ასევე შესაბამისი ელემენტებით უზრუნველყოფა;** ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელითა და საშუალებებით ასევე შესაბამისი ელემენტებით უზრუნველყოფა; **B.F.2 ინტერნეტ მომსახურება** WiMax; **B.F.3 მონაცემთა გადაცემა; B.F.4 მაუწყებლობის ტრანზიტი** ტელემაუწყებლობის ტრანზიტი რადიომაუწყებლობის ტრანზიტი; **B.T.1**

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელითა და საშუალებებით სატელევიზიო არხების ტრანზიტი; ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელითა და საშუალებებით სატელევიზიო არხების ტრანზიტი;

2. ,,შპს ,,სტერეო+სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ“ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „სტერეო+“ ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-B, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიებს;

3. შპს „სტერეო+სა“ და შპს „დი+ს“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-D ლიცენზიის გადაპირების თაობაზე კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს N545/5 გადაწყვეტილების შესაბამისად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-D ლიცენზიის მფლობელად განისაზღვრა შპს „დი+“ და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-D ლიცენზიას განესაზღვრა შესაბამისი სალიცენზიო პირობები, ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად;

4. კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილებით მოდიფიცირდა კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებით შპს „სტერეო+-ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის სარგებლობის №MUX-B და №MUX-E ლიცენზიები, („შპს „სტერეო+სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ“ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „სტერეო+ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-B და №MUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილება);

5. კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მონიტორინგის მობილური ჯგუფების მიერ 28.03.2019-12.04.2019 პერიოდში განხორციელდა შპს „სტერეო+ის“ და შპს „დი+ის“ მონიტორინგი, მათ მიერ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 და 2017 წლის 17 აგვისტოს №545/5 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული MUX-B, MUX-E და MUX-D ლიცენზიების პირობებით გათვალისწინებული ტექნიკური მახასიათებლების შემოწმების მიზნით;

6. კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მონიტორინგის მობილური ჯგუფების მიერ 28.03.2019-12.04.2019 პერიოდში განხორციელებული შემოწმების სისწორე დადასტურდა კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის 2019 წლის 15 აპრილის N19-10-632 და 2019 წლის 17 მაისის N19-10-768 სამსახურებრივი ბარათებზე თანდართული შემოწმების აქტებით, რომლებიც შედგენილია ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36–ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

7. კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 28 მარტიდან - 2019 წლის 12 აპრილის ჩათვლით ჩატარებული შემოწმების შედეგები აისახა შემოწმების აქტებში, კერძოდ:

2019 წლის 28 მარტის N34 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ სოფ. არბოშიკში განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების შედეგად დაფიქსირდა, რომ სოფ. არბოშიკში შპს „სტერეო+-ის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგური არ არის განთავსებული

კოორდინატებზე N41^{0}33’21’’; E45^{0}58’13’’, როგორც ეს განსაზღვრულია კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილებით. შემოწმების აქტში აღნიშნულია, რომ კოორდინატებთან დაკავშირებით დაშვებულია მექანიკური შეცდომა google რუკიდან გადმოტანის დროს;

2019 წლის 28 მარტის N35 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ სოფ. არბოშიკში განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების შედეგად დაფიქსირდა, რომ შპს „სტერეო+ის” NMUX-B (21-ე სატელევიზიო არხი) და NMUX-E (26-ე სატელევიზიო არხი) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგური განთავსებულია სოფ. არბოშიკში საკომუნიკაციო ანძაზე, N41^{0}31’31.52’’; E45^{0}57’30.3’’. ანტენის დაკიდების სიმაღლე 15მ (+-5მ);

2019 წლის 28 მარტის N39 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. სიღნაღში განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების შედეგად დაფიქსირდა, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ სიღნაღის სატელევიზიო ანძაზე არ არის განთავსებული შპს „სტერეო+ის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგური;

2019 წლის 28 მარტის N41 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. სიღნაღში განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების შედეგად დაფიქსირდა, რომ შპს „სტერეო+ის“ (NMUX-B 22-ე სატელევიზიო არხი NMUX-E 43-ე სატელევიზიო არხი) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგურები განთავსებულია N41^{0}37’03’’ E 45^{0}53’07’’ გეოგრაფიული კოორდინატების მიმდებარედ არსებულ საკომუნიკაციო ანძაზე. ანტენის დაკიდების სიმაღლე 50მ (+-5მ);

2019 წლის 29 მარტის N42 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. ლაგოდეხში, ბაიასუნბნის სატელევიზიო ანძის ტერიტორიაზე განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების შედეგად შპს “სტერეო+ის” ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის NMUX-B (22-ე სატელევიზიო არხი) და NMUX-E (43-ე სატელევიზიო არხი) გადამცემი სადგურების ფუნქციონირება არ დაფიქსირებულა. ქ. ლაგოდეხში, ბაიასუბნის სატელევიზიო ანძის მიმდებარედ განლაგებულ რადიოსაკომუნიკაციო ანძებზე შპს „სტერეო+ის“ გადამცემი სატელევიზიო სადგურები არ არის განთავსებული. შემოწმების აქტში ასევე აღნიშნულია, რომ ქ. ლაგოდეხი სრულად იფარება დედოფლისწყაროს სამაუწყებლო ანძიდან;

2019 წლის 29 მარტის N44 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. ყავრელში, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ სატელევიზიო ანძის შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ყვარლის სატელევიზიო ანძაზე არ არის განთავსებული შპს „სტერეო+ის“ გადამცემი სადგურები. შემოწმების აქტში შემოწმებული კომპანიის წარმომადგენელი ახსნა-განმარტების სახით აღნიშნავს, რომ უკეთესი პირობების გამო გადამცემი გადატანილის მიმდებარე ანძაზე;

2019 წლის 29 მარტის N46 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. ყავრელში განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების შედეგად დაფიქსირებულ იქნა შპს „სტერეო+ის“ (NMUX-B 21-ე სატელევიზიო არხი; NMUX-E 26-ე სატელევიზიო არხი) მიწისზედა ციფრული სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგურის ფუნქციონირება. აღნიშნული გადამცემი სადგურები განთავსებულია N41^{0}54’20’’; E45^{0}’49’25’’ გეოგრაგიული კოორდინატების მიმდებარედ არსებულ საკომუნიკაციო ანძაზე. ანტენის დაკიდების სიმაღლე 45მ (+-5მ);

2019 წლის 3 აპრილის შემოწმების აქტში N65 აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. ონში შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ონის სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერებით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების აქტით დადასტურდა, რომ შპს „სტერეო+“-ის NMUX-B და NMUX-E ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სადგურის ფუნქციონირება არ დაფიქსირებულა, რაც განსაზღვრულია კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებით, ასევე კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/1 გადაწყვეტილებით. შემოწმების აქტში აღნიშნულია, რომ უკეთესი დაფარვის მიზნით აღნიშნული გადამცემი გადატანილია სხვა სამაუწყებლო ანძაზე და ასევე დამატებულია სამაუწყებლო პუნქტები რაჭის რეგიონში;

2019 წლის 3 აპრილის შემოწმების აქტში N66 აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. ონში შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ონის სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერებით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების აქტით დადასტურდა, რომ შპს „სტერეო+ის“ NMUX-B და NMUX-E ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სადგური განთავსებულია მრავალძალის საკომუნიკაციო ანძაზე, რაც არ არის გათვალისწინებული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებით, ასევე 2018 წლის 26 ივლისის N411/1 გადაწყვეტილებით;

2019 წლის 3 აპრილის შემოწმების აქტში N70 აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ.

ამბროლაურში შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ამბროლაურის სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერებით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების აქტით დადგენილია, რომ „სტერეო+ისთვის“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილების მიხედვით ამბროლაურში NMUX-B და NMUX-E ლიცენზიით გათვალისწინებულ კოორდინატებზე არ არის განთავსებული NMUX-B და NMUX-E ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგური. შემოწმების აქტში აღნიშნულია, რომ უკეთესი დაფარვის მიზნით, აღნიშნული გადამცემი გადატანილია სხვა სამაუწყებლო ანძაზე, და ასევე დამატებულია სხვა სამაუწყებლო პუნქტები რაჭის რეგიონში;

2019 წლის 3 აპრილის შემოწმების აქტში N72 აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. ფოთში განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირის ლევან დემურაძის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შპს „სტერეო+ისთვის“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილებით NMUX-B და NMUX-E ლიცენზიის პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის და კონტროლის შედეგად შემოწმების აქტში დაფიქსირდა, რომ აღნიშნულ წერტილზე არ არის განთავსებული შპს „სტერეო+ის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგურები. შემოწმების აქტში აღნიშნულია, რომ ფოთის სამაუწყებლო ზონა იფარება ურთის მთაზე განთავსებული ციფრული სატელევიზიო სადგურებიდან;

2019 წლის 3 აპრილის შემოწმების აქტში N76 აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელში განხორციელებული შემოწმების, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შემოწმების აქტში N76 დადასტურებულია, რომ ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელში ფუნქციონირებს NMUX-B და NMUX-E ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგურები, რაც კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილებით, ასევე კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული. კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილებებით NMUX-B და NMUX-E ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგურები განთავსებული უნდა იყოს დ. ამბროლაურში, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ამბროლაურის სატელევიზიო ანძაზე;

2019 წლის 5 აპრილის N103 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ დ. ჩოხატაურში, განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირის ლევან დემურაძის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. კერძოდ, შპს „სტერეო+ის“ NMUX-B და NMUX-E ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგურები განთავსებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სამების მიმდებარედ „ტალახას“ მთაზე განლაგებულ საკომუნიკაციო ანძაზე, რაც არ არის გათვალისწინებული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებით, ასევე 2018 წლის 26 ივლისის N411/1 გადაწყვეტილებით;

2019 წლის 5 აპრილის შემოწმების აქტში N105 აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ქ. ჩოხატაურში განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირის ლევან დემურაძის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. შპს „სტერეო+ისთვის“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N 411/2 გადაწყვეტილებით NMUX-B და NMUX-E ლიცენზიის პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის და კონტროლის შედეგად შემოწმების აქტში დაფიქსირდა, რომ აღნიშნულ წერტილზე არ არის განთავსებული შპს „სტერეო+ის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგურები. შემოწმების აქტში აღნიშნულია, რომ ჩოხატაურის სამაუწყებლო პუნქტი სრულად იფარება „ტალახას“ მთაზე განთავსებული გადამცემით;

2019 წლის 5 აპრილის N106 შემოწმების აქტში აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ ზუგდიდის რაიონის სოფ. ურთაში, ურთას მთის ტერიტორიაზე განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის, გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. კერძოდ, ზუგდიდის რაიონის სოფ. ურთაში, ურთას მთაზე ფუნქციონირებს სტერეო+-ისთვის კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული ლიცენზია NMUX-B და NMUX-E-ს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგურები, რაც არ არის განსაზღვრული კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილებით, ასევე არც კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებით;

2019 წლის 11 აპრილის შემოწმების აქტში N127 აისახა კომისის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის მობილური ჯგუფის მიერ დაბა აბასთუმანში შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ აბასთუმნის სატელევიზიო ანძის ტერიტორიაზე განხორციელებული შემოწმების შედეგები, რაც დადასტურებულია კომისიის უფლებამოსილი პირების ნიკოლოზ კონდოლელისა და გიორგი წიკლაურის ხელმოწერით, ასევე შპს „სტერეო+ის“ წარმომადგენლის გიორგი ხითარიშვილის ხელმოწერით. დაბა აბასთუმნის შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ აბასთუმნის სატელევიზიო ანძის ტეროტორიის შემოწმება განხორციელდა შპს „სტერეო+ისთვის“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილების შესაბამისად NMUX-B და NMUX-E ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემოწმების მიზნით. შემოწმების შედეგად დაფიქსირდა შპს „სტერეო+ის“ ციფრული სატელევიზიო ქსელის ფუნქციონირება NMUX-B (21-ე სატელევიზიო არხი) და NMUX-E (41-ე სატელევიზიო არხის) ფუნქციონირება. კერძოდ, შპს „სტერეო+-ის“ ციფრული სატელევიზიო ქსელის გადამცემი სადგური განთავსებულია შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ აბასთუმნის სატელევიზიო ანძის ტერიტორიაზე. გადამცემი ანტენა დაკიდებულია 30მ (+-5მ), რაც არ არის განსაზღვრული კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილების შესაბამისად NMUX-B და NMUX-E სალიცენზიო პირობებით. NMUX-E ფუნქციონირებს MUX-D-ს არხზე (41-ე არხი, რომელიც შპს „დი+-ისთვის“ განსაზღვრულია NMUX-D სალიცენზიო პირობები კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს 545/5 გადაწყევტილების შესაბამისად), ხოლო შპს „დი+ისთვის“ კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს N545/5 გადაწყვეტილებით განსაზღვრული NMUX-D ფუნქციონირებს შპს „სტერეო+ისთვის“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილებით განსაზღვრული NMUX-E-ს ლიცენზიის სატელევიზიო არხზე (32-ე არხი);

კომისიის 2019 წლის 30 მაისის სხდომაზე, კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტმა (ლ. ლაშქარავა, ნ. ასპანიძე) განმარტა, შპს „სტერეო+-ის“ წერილობით მიმართვებზე შემოწმების აქტებში აღნიშნული ლოკაციების ამორთვის თაობაზე კომისიას თანხმობა არ გაუცია, რაც ასევე დასტურდება კომისიის არაერთი კორესპონდენციით შპს „სტერეო+ის“ მიმართ. შპს „სტერეო+ის“ დამფუძნებელმა დავით ზილფიმიანმა დაადასტურა ,,შპს ,,სტერეო+-სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის და შპს „სტერეო+ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NMUX-B და NMUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილებით პირველი გ) პუნქტის, მე-6, მე-8, 12-ე, 16-ე, 32-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, 52-ე, 62-ე ქვეპუნქტების, ასევე, მე-3 გ) პუნქტის მე-6, მე-8, 12-ე, 16-ე, 19-ე, 21-ე, 22-ე, 32-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, 52-ე, 62-ე ქვეპუნქტებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობების დარღვევის ფაქტი და გამოთქვა მზადყოფნა აღმოფხვრას ზემოაღნიშნული დარღვევები 2 თვის ვადაში.

IV. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები და დასაბუთება

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობის ან/და რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და სალიცენზიო პირობების, აგრეთვე ამოწურვადი რესურსით სარგებლობის პირობების დაცვის ზედამხედველობა და მათი დარღვევის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები;

ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია აკონტროლებს ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირების, მათ შორის, ამოწურვადი რესურსით

სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის, მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის შესაბამისი დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, აგრეთვე სალიცენზიო პირობების შესრულებას. მათი დარღვევის შემთხვევაში კომისია აღნიშნული პირების მიმართ გამოიყენებს ამ კანონის 45-ე მუხლით დადგენილ სანქციებს; 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში დენადი ხასიათის დარღვევის აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არაუმეტეს 30000 ლარისა;

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება - გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია კომისიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება ან მინიჭებული უფლებამოსილება - გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, ხოლო მე-6 მუხლის ბ) პუნქტის თანახმად, კომისიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას წარმოადგენს ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელის ან/და ავტორიზებული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის) ან სალიცენზიო/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების ან/და ავტორიზაციის პირობების დარღვევაზე, ან პირის მიერ ულიცენზიოდ/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების გარეშე, ან/და ავტორიზაციის გარეშე საქმიანობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა;

შპს „სტერეო+-მა“ დაარღვია ,,შპს ,,სტერეო+-სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის და შპს „სტერეო+-ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NMUX-B და NMUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილების პირველი გ) პუნქტის, მე-6, მე-8, მე-12, მე-

16, 32-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, 52-ე, 62-ე ქვეპუნქტების, ასევე, მე-3 გ) პუნქტის მე-6, მე-8, 12-ე, მე-16, მე-19, 21-ე, 22-ე, 32-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, 52-ე, 62-ე ქვეპუნქტებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობები, რაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, სანქცირების საფუძველს წარმოადგენს. ვინაიდან, შპს „სტერეო+მა“ აღიარა სამართალდარღვევის ფაქტი და დაადასტურა დარღვევის აღმოფხვრის მზაობა 2 თვის ვადაში, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „სტერეო+-ის“ სამართალდამრღვევად ცნობა და მისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

V. სარეზოლუციო ნაწილი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის, 43-ე, 44-ე და 45-ე მუხლების, ,,შპს ,,სტერეო+“-სთვის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის და შპს „სტერეო+“-ის კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NMUX-B და NMUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 103-ე, 104-ე და 105-ე მუხლების, კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების შესაბამისად, შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შპს „სტერეო+“ (საიდენტიფიკაციო N204986408) ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად ,,შპს ,,სტერეო+-სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის და შპს „სტერეო+-ის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NMUX-B და NMUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილების პირველი გ) პუნქტის, მე-6, მე-8, მე-12, მე-16, 32-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, 52-ე, 62-ე ქვეპუნქტების, ასევე, მე-3 გ) პუნქტის მე-6, მე-8, მე-12, მე-16, მე-19, 21-ე, 22-ე, 32-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, 52-ე, 62-ე ქვეპუნქტებით განსაზღვრული სალიცენზიო ვალდებულებების დარღვევის გამო;

2. შპს „სტერეო+“ გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან;

3. შპს „სტერეო+ს“ დაევალოს 2019 წლის 1 აგვისტომდე ,,შპს ,,სტერეო+-სთვის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის N363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის და შპს „სტერეო+“-ის კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NMUX-B და NMUX-E ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ“ კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N411/2 გადაწყვეტილების პირველი გ) პუნქტის, მე-6, მე-8, მე-12, მე-16, 32-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, 52-ე, 62-ე ქვეპუნქტების,

ასევე, მე-3 გ) პუნქტის მე-6, მე-8, მე-12, მე-16, მე-19, 21-ე, 22-ე, 32-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, 52-ე, 62-ე ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის აღმოფხვრა და სალიცენზიო ვალდებულებების სრულად შესრულების უზრუნველყოფა;

4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ნ. ჯავახიძე) წინამდებარე გადაწყვეტილების შპს „სტერეო+ისთვის“ დაუყოვნებლივ გაგზავნა;

5. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (თ. ჭელიძე) შპს „სტერეო+ის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე ინფორმაციის კომისიის შესაბამის უწყებრივ რეესტრში შეტანის უზრუნველყოფა;

6. გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის მაუწყებლისთვის შპს „სტერეო+ისთვის“ ჩაბარების დღიდან;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ□□□□ აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) შპს „სტერეო+სთვის“ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების (მე-4 და მე-5 პუნქტების გარდა) შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის თავმჯდომარის მ.შ.

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი